საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“.

# მიგრანტი

№12 / 2016



მევლუდ ქოქოლაძე

# შრომითი მიგრანტი, რომელმაც „ინტელექტის“ გრანტი მოიპოვა

**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიქუნეთის მკვიდრი, შრომითი მიგრანტი მევლუდ ქოქოლაძე ჩაერთო პროექტში „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“, რომელსაც ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ ახორციელებს. პროექტის მიზანია აჭარის რეგიონში დაბრუნებული, პოტენციური და ეკომიგრანტებისათვის გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი ცხოვრების ღირსეული პირობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, მიგრაციისა და განვითარების საკითხების დაკავშირება და მიგრანტთა ჩართულობის დონის ამაღლება რეგიონის ეკონომიკური განვითარების პროცესებში.**

პროექტის – „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი მცირე ბიზნესის ხელშეწყობაა. მევლუდ ქოქოლაძემ სწორედ ამ კომპონენტში ჩაერთო და მის მიერ წარმოდგენილმა ბიზნეს გეგმამ – „სავალი ნაწილების შემკეთებელი საამქრო“ – დაფინანსება მოიპოვა. ეს მეორე გრანტია, რომელიც „ინტელექტმა“ ზემოთ აღნიშნული პროექტის ფარგლებში უკვე გასცა.

მევლუდ ქოქოლაძე ჯერ მხოლოდ 21 წლისაა და საკუთარი საქმე უკვე წამოიწყო. ის ზეინკალია და ბათუმში, ბაგრატიონის ქუჩაზე სავალი ნაწილების შემკეთებელი ერთ-ერთი საამქროს მეპატრონეა. ზეინკლობაზე ბავშვობიდან ოცნებობდა. ამბობს, რომ ყოველთვის ავტომობილებით თამაშობდა, შლიდა და აწყობდა: „ნაწილები ხან მრჩებოდა, ხან პირიქით – მაკლდებოდა. სათამაშოს რომ მომიტანდნენ, მაშინვე მის დაშლაზე ვფიქრობდი, რომ თავიდან ამეწყო. მხოლოდ ავტომობილებისკენ მიმიწევდა გული და გამირბოდა თვალი... ბავშვობისდროინდელ სურვილს დღემდე მივყვები.“

ზეინკლის პროფესიას მევლუდ ქოქოლაძე პროფესიულ კოლეჯ „ბლექსში“ დაეუფლა. ამბობს, რომ თავდაპირველად მის გეგმებში მხოლოდ სწავლა შედიოდა, მაგრამ როგორც კი პრაქტიკულ საქმიანობაში ჩაერთო, საკუთარი საამქროს გახსნის სურვილი გაუჩნდა. საწარმოო პრაქტიკის გავლის შემდეგ იმავე ავტოსახელოსნოში (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში) დარჩა სამუშაოდ და დაიწყო ფიქრი საკუთარი საამქროს გახსნაზე. რადგან ფინანსური მდგომარეობა ხელს არ უწყობდა, გადაწყვიტა თურქეთის რესპუბლიკაში ემუშავა და სავალი ნაწილების შემკეთებელი საამქროს გასახსნელად თანხა მოეგროვებინა.

თურქეთში მეგობართან ერთად წავიდა. პირველ შთაბეჭდილებებს ახლა ასე იხსენებს: „მე არც თურქული ვიცოდი და არც ქვეყანას ვიცნობდი, მთლიანად მეგობარზე ვიყავი დამოკიდებული. იმან თურქული იცოდა, თორემ სხვა მხრივ გამოცდილება არ ჰქონია. ჩავედით ქალაქ არხავში ღამით და კოკისპირულ წვიმაში. იქ ერთ-ერთ სასტუმროში (უბრალო ოთახი, ყოველგვარი კომფორტის გარეშე, რომელსაც სასტუმროს ქართველები ვუწოდებდით) დავბინავდით. მეორე დილით გავედით ე. წ. „ბირჟაზე“, სადაც ქართველი ემიგრანტები დგანან საათობით, დღეობით, კვირაობით და ელოდებიან თურქ დამსაქმებლებს, შავი სამუშაოს მისაღებად. ბედმა გაგვიღიმა და იმავე დილით ვიშოვეთ სამუშაო – ჩაის საკრეფად მახლობელ სოფელში წაგვიყვანეს. თურქეთში სხვადასხვა სახის სამუშაოს ვასრულებდით: ჩაის კრეფა, თხილის კრეფა, ავეჯის გადაზიდვა... სეზონის და მოთხოვნის შესაბამისად. ბევრჯერ მქონია შემთხვევა, როცა თანხა საერთოდ არ, ან ნაწილობრივ გადამიხადეს.

ერთხელ მე და ჩემი ორი მეგობარი ჩაის დასატვირთად წავედით. 4 მანქანა – 40 ტონა ჩაი უნდა დაგვეტვირთა და 70-70 ლირა უნდა აგვეღო. ორი მანქანის (20 ტონის) დატვირთვის შემდეგ გვითხრეს, რომ სულ ხუთი მანქანა იყო დასატვირთი. მეხუთეზე უარი განვაცხადეთ, რადგან არ ვიყავით შეთანხმებული. მაშინ წადითო და გამოგვიშვეს, რაც ვიმუშავეთ, იმის ფულიც არ მოგვცეს. დატვირთვაზე სხვა ქართველებიც მუშაობდნენ. მათგან გავიგეთ, რომ დილამდე ამუშავეს და ფულიც დააკლეს.

ერთხელ მოხუც ცოლ-ქმართან ვიმუშავე. რომ დავამთავრე, 50 ლირის ნაცვლად (რაზეც წინასწარ შევთანხმდით) 20 ლირა მომცეს. ვუთხარი, დამიმატეთ-მეთქი და ხელი მომკიდეს – პოლიციაში წამოდიო. იმ 20 ლირის დაკარგვასაც წამოსვლა ვამჯობინე.

ერთხელ 12 საათი ვიმუშავე გადაბმულად. 120 ლირის საქმე იყო და 60 გადამიხადა. დამიმატე-მეთქი ვუთხარი და რასაც მაძლევდა ისიც ჩაიდო ჯიბეში და მანქანიდან ჩამომაგდო. აზრი არ აქვს ჩხუბს, აქეთ დაგამცირებენ და შეიძლება დეპორტითაც დაგატოვებინონ ქვეყანა. ბოლო ორი წლიდან რვა თვე თურქეთში ასეთ პირობებში გავატარე. ვიტანდი, რადგან სხვანაირად საკუთარ საქმეს ვერ დავიწყებდი.“

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტს“ მევლუდ ქოქოლაძემ ახლობლის რჩევით მიმართა. მან წარმატებით გაიარა მცირე ბიზნესის დაფინანსების ყველა საფეხური და გრანტიც მოიპოვა – 40% თანადაფინანსებით. მიღებული თანხით მსუბუქი ავტომობილების ამწე და სხვა ხელსაწყოები შეიძინა. თანადაფინანსების თანხის მოსაპოვებლად ისევ თურქეთში წავიდა ჩაის საკრეფად.

მევლუდ ქოქოლაძე თვლის, რომ „ბედმა გაუღიმა და გაუმართლა.“ „მაქსიმალურად შევეცდები ხარჯები ჩემი საამქროდან მიღებული მოგებით დავფარო. ხელსაწყოების შევსებასაც ასე ვაპირებ. მართალია ჯერ ბევრი კლიენტი არ მყავს, მაგრამ სულ 24 დღეა რაც გავხსენი და მხოლოდ სამი დღე ვიყავი უსაქმოდ.“

მევლუდი საამქროში სავალ ნაწილებს აკეთებს – სამუხრუჭე ხუნდები, საჭის მექანიზმები, გადაბმულობა, „ცეპლენია“... „ინტელექტთან“ თანამშრომლობით კმაყოფილია: „რომ არა „ინტელექტის“ გრანტი, უფრო მეტი ხარჯი მექნებოდა, ვიქნებოდი სხვაზე დამოკიდებული. ამწის დაქირავებაც მომიწევდა, რაც დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ახლა მხოლოდ ფართის დაქირავებისთვის ვიხდი თანხას. მადლობა „ინტელექტს“ გრანტისთვის და გვერდში დგომისთვის. კიდევ იმისთვის, რომ ემიგრაციას გადამარჩინა, სურვილის ასრულებაში დამეხმარა და ჩემს ქვეყანაში მცირე ბიზნესის კეთების საშუალება მომცა!“

**P.S. ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტმა“ ორი მცირე ბიზნესი უკვე დააფინანსა. ბიზნესგანაცხადების მიღება კვლავ გრძელდება. პროექტის – „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში „ინტელექტი“ სულ 16 მცირე ბიზნესს და სამ სოციალურ საწარმოს დააფინანსებს.**

## წარმატებული ბენეფიციარი

# სტილისტი ნანა ლაბაძე

„მე უკვე სტილისტი ვარ. სწავლა ერთი კვირის უკან დავასრულე და ახლა ქობულეთში, სილამაზის სალონ „ვერსალში“ ვმუშაობ.

რამდენიმე წლის წინ ამაზე ვერც კი ვიოცნებებდი.

სკოლა რომ დავამთავრე, მინდოდა სწავლა უმაღლესში გამეგრძელებინა, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ შევძელი.

წლების შემდეგ, როცა ოჯახური სიმძიმე ჩემს მხრებზე გადმოვიდა, სამკერვალო ფაბრიკაში დავიწყე მუშაობა. ხელფასს გამომუშავებით მიხდიდნენ და თვეში დაახლოებით 300 ლარს ვიღებდი. ეს თანხა ოჯახის შესანახად საკმარისი არ იყო, ამიტომაც სეზონურად თურქეთში დავიწყე სიარული.

იქ ჩაის ვკრეფდი დარსა და ავდარში, ზურგზე ბეზმოკიდებული და ხელში უშველებელი ჩაის საკრეფი მაკრატლით დავდიოდი, არ ვუშინდებოდი სიმძიმეს, კოკისპირულ წვიმაში მუშაობას, ნაწვიმარზე დაღმართში სიარულს, როცა ფეხი მისრიალებდა და რამდენჯერმე დავცემულვარ კიდეც... იმის გაფიქრება, რომ აქ – საქართველოში ოჯახი მელოდებოდა, ძალას მაძლევდა და ყოველგვარ სირთულეს ვიტანდი.

მინდოდა ცოტა ფული სწავლისთვისაც გადამედო, მაგრამ ვერ შევძელი. ოჯახს ვერ მოვაკლებდი, ისედაც არ გვყოფნიდა... ფუფუნებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია...

გასულ წელს პროფესიულ კოლეჯ „ახალ ტალღაში“ მივედი, მინდოდა სტილისტობა მესწავლა, მაგრამ ვერ შევძელი... მიზეზი ისევ უსახსრობა იყო.

გული დამწყდა.

ოთხი თვის უკან თამარ ემირიძე დამიკავშირდა, რომელიც „ახალ ტალღაში“ სტილისტების მასწავლებელია. მისგან გავიგე, რომ არსებობს ორგანიზაცია ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“, რომელიც ჩემნაირ ადამიანებს – სხვა ქვეყანაში სამუშაოს მაძიებლებს, რომლებიც საკუთარ ქვეყანაში ვერ საქმდებიან, პროფესიის შეძენაში ეხმარება. თამარ მასწავლებლის რეკომენდაციით მივმართე „ინტელექტს“. განაცხადი ადგილზე შემავსებინეს, ემიგრაციაში ყოფნის საბუთი მიმატანინეს და პროფესიულ კოლეჯ „ახალ ტალღაში“ სტილისტობის სწავლა დამიფინანსეს.

სიხარულს ახლაც ვერ ვმალავ!

ოცნება ამიხდა! უკვე სტილისტი ვარ!

„ახალ ტალღაში“ პროფესიასთან ერთად მეგობრებიც შევიძინე. ისინიც ჩემნაირი შრომითი მიგრანტები არიან, რომლებმაც დამოუკიდებლად ვერ შეძლეს პროფესიის დაუფლება და მათაც ორგანიზაცია „ინტელექტი“ დაეხმარა. თუ ყველაფერი კარგად აგვეწყო, იქნება ერთი დიდი სილამაზის სალონი გავხსნათ, სადაც



ნანა ლაბაძე

შვიდივე დავსაქმდებით. ამაზე სერიოზულად ვფიქრობთ.

**სწავლის დასრულებისთანავე სამსახურს თუ ვიშოვიდი არ მეგონა. ბედმა ნამდვილად გამიღიმა, უკვე ვმუშაობ. ჩემი სალონიც ახალგახსნილია და პრაქტიკულად მეც დამწყები ვარ, მაგრამ დარწმუნებული ვარ ორივენი წელში გავიმართებით. რაკი აქამდე მოვედით, წარმატებაც გარდაუვალი იქნება.**

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტმა“ ჩემი ცხოვრება მნიშვნელოვნად შეცვალა: შანსი მომცა ვიყო პროფესიონალი სტილისტი, მომავლის იმედი გამიჩინა, დაკარგული რწმენა აღმიდგინა, მიძინებული ხალისი გამიღვიძა... ახლა თამამად ვგეგმავ მომავალს და აღარ მეშინია იმედგაცრუების. დიდი სურვილი მაქვს, რომ საკუთარი სალონი მქონდეს. დარწმუნებული ვარ, რომ გამოვა.

მადლობა „ინტელექტს“ იმ ყველაფრისთვის, რაც სამი თვის განმავლობაში მისი წყალობით მივიღე: ცოდნისთვის, რწმენისთვის, იმედისთვის...

და ბოლოს, ყველა მიგრანტს ვურჩევ, არ გაუშვას შანსი ხელიდან, ისწავლოს და დასაქმდეს მშობლიურ ქვეყანაში.“

**ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.**

**ჩანართის რედაქტორი:** თეონა კაკაციძე
**მისამართი:** ბათუმი, ფიროსმანის №18
**ტელ:** 24 16 40; **ფაქსი:** 24 16 50; **მობ:** 592 57 18 00
**ელფოსტა:** info@intellect.org.ge;
**ვებგვერდი:** www.intellect.org.ge